საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 3

ქ. თბილისი 27 თებერვალი, 2019 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, ებრალიძე თამარ, ლომინაძე გიორგი, ოკრიბელაშვილი ნინო, პაპავა გივი, სალუქვაძე იოსებ, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ნინო ლიპარტიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
2. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **მაკა ხოდელის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება;
3. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **მერი მაღლაკელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება;
4. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **ლევან მახაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება;
5. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **ირაკლი მეგრელიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება;
6. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **შალვა ხუფენიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება;
7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ლანა სულაკაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
8. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ქიმია" დოქტორანტ **მანონი კურტანიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის

დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **ნინო ლიპარტიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოიმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის გიორგი ცერცვაძის ინფორმაცია დისერტაციის - „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და მისი სამართლებრივი შედეგები“ - სამეცნიერო ღირებულებისა და აქტუალობის თაობაზე. აღნიშნა, რომ დისერტაცია შეფასდა 86 ქულით; დაცვას არ ესწრებოდა კომისიის ერთი წევრი.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ დაინტერესდა დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემის ცვლილების მიზეზით.

მოისმინეს: მ. შალიკაშვილმა განმარტა, რომ დოქტორანტი აბარებს „სამართლის“ პროგრამაზე და ირჩევს კონკრეტულ მიმართულებას. თავდაპირველად მას შერჩეული აქვს კვლევის სავარაუდო თემის სათაური და მისაღები გამოცდების ჩაბარებამდე ვალდებულია ასევე წარმოადგინოს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა. შესაძლებელია, კვლევის პროცესში დოქტორანტმა დააკონკრეტოს/შეცვალოს სადისერტაციო თემის სათაური მიმართულების ფარგლებში.

აზრი გამოთქვა: ი. სალუქვაძე დაინტერესდა კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობით.

მოისმინეს: გ. ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ავტორმა შეისწავლა საბანკო გარანტიათა მიმართ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილი საკითხები, შეაფასა საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებები სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკასთან მიმართებით და წარმოადგინა თავისი რეკომენდაციები იმ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ამ ინსტიტუტის არსებობას და ცალკეულ საკითხებთან არაერთგვაროვან მიდგომას უკავშირდება.

აზრი გამოთქვა: თ. ებრალიძემ აღნიშნა, რომ პირადად იცნობს დოქტორანტს. ის სერიოზული მკვლევარია და მიიჩნევს, რომ ნ. ლიპარტიას უნდა მიენიჭოს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ იოსებ სალუქვაძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო ლიპარტიასთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **მაკა ხოდელის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია (თემა:„სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით“).

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა საბჭოს გააცნო სისხლის სამართლის მიმართულების სხდომის ოქმი, რომელშიც დასაბუთებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების შერჩევა.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ იოსებ სალუქვაძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე, დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **მაკა ხოდელის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) ირინე ბოხაშვილი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) ლავრენტი მაღლაკელიძე - თსუ ასისტენტ პროფესორი, სამართლის დოქტორი;

გ) ლალი ფაფიაშვილი - თსუ პროფესორი, სამართლის დოქტორი;

დ) ვასილ გონაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ე) ირა აქუბარდია - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ვ) ჯემალ გახოკიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ზ) ბესიკ მეურმიშვილი - თსუ ასისტენტ პროფესორი, სამართლის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **მერი მაღლაკელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები (თემა: „External Europeanization through Conditionality: Explaining Varying Patterns of Policy Change in Eastern Partnership Countires").

მოისმინეს: მოწვეული სტუმრების - პროფ. ლევან ალექსიძის და ნინო ლაპიაშვილის - განმარტებები კომისიის წევრებისა და რეცენზენტების შერჩევასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტს სერიოზული პრობლემა ექმნება რეცენზენტებისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების შერჩევისას. არის კონკრეტული თემები, რომელზეც კვლევა ფაქტობრივად არ ჩატარებულა და ახალი სიტყვაა მეცნიერებაში. ფაკულტეტმა გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ თსუ-ში მოქმედ არცერთ სამართლებრივ აქტში/რეგულაციაში არ არის აკრძალვა რეცენზენტის დაცვის კომისიის წევრად არჩევის თაობაზე.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ რეცენზენტი არ უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი, თუმცა გამონაკლისის დაშვება უნდა მოხდეს ფაკულტეტის მიერ დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში. იურიდიული ფაკულტეტი არ უნდა იყოს გამონაკლისი და ეს წესი ყველა ფაკულტეტზე უნდა გავრცელდეს.

აზრი გამოთქვა: ი. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა არ უნდა განმეორდეს სხვა სხდომებზე. მიაჩნია, რომ ვინაიდან თსუ-ში მოქმედ არცერთ სამართლებრივ აქტში არ არის გაწერილი აღნიშნული საკითხი, საბჭომ დღეს უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ფაკულტეტის არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში რეცენზენტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრად დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ

არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ იოსებ სალუქვაძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდეს რეცენზენტ(ებ)ი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრ(ებ)ად.

მოსმინეს: ი. სალუქვაძემ აღნიშნა, ვინაიდან გადაწყვეტილება რეცენზენტ(ებ)ის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრ(ებ)ად დამტკიცების თაობაზე ერთხმად იქნა მიღებული, შესაბამისად, კენჭი უნდა ეყაროს მერი მაღლაკელიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას და რეცენზენტებს წარმოდგენილი შემადგენლობით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ იოსებ სალუქვაძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე, დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **მერი მაღლაკელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები წარმოდგენილი შემადგენლობით.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები:

ა) ლევან ალექსიძე - აკადემიკოსი, თსუ პროფესორი (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი);

ბ) ქეთევან ხუციშვილი - თსუ პროფესორი (სამართლის დოქტორი);

გ) ნათია ლაპიაშვილი - კავკასიის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი (სამართლის დოქტორი);

დ) მერაბ აბდალაძე - შავი ზღვის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი);

ე)**რეცენზენტი:** დანიელა ურსე - ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორი (სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი);

ვ) **რეცენზენტი:** თამაზ ზუბიაშვილი - თსუ ასოც. პროფესორი (ეკონომიკის დოქტორი);

ზ) **რეცენზენტი:** ეკატერინე აკობია - კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (საერთაშორისო ურთიერთობათა დოქტორი).

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **ლევან მახაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები (თემა:"EU Conflict Management and Mediation in Georgia and Moldova in 2004-2016 – Assessing and Explaining the Performance").

აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ სათაურიდან აშკარად იკვეთება თემის აქტუალობა და სასურველი იქნება, თუ საბჭოს აცნობებენ დაცვის თარიღს. ის ეთანხმება წარმოდგენილ შემადგენლობას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ იოსებ სალუქვაძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე, დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **ლევან მახაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები წარმოდგენილი შემადგენლობით.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები:

ა)ლევან ალექსიძე - აკადემიკოსი, თსუ პროფესორი (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი);

ბ) ქეთევან ხუციშვილი - თსუ პროფესორი (სამართლის დოქტორი);

გ) ვასილ კაჭარავა - თსუ პროფესორი (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი);

დ)ნათია ლაპიაშვილი - კავკასიის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი (სამართლის დოქტორი);

ე) მერაბ აბდალაძე - შავი ზღვის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი);

ვ) თამაზ ზუბიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი (ეკონომიკის დოქტორი);

ზ) დანიელა ურსე - ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორი (სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი).

რეცენზენტები:

ა) სერგი კაპანაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (საერთაშორისო ურთიერთობათა დოქტორი);

ბ) ნიკოლოზ სამხარაძე - საერთაშორისო ურთიერთობათა დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **ირაკლი მეგრელიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები (თემა:"Modernization and the Idea of Europe in Georgia").

აზრი გამოთქვა: მ .შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმება წარმოდგენილ კანდიდატურებს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ იოსებ სალუქვაძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე, დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **ირაკლი მეგრელიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები წარმოდგენილი შემადგენლობით.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები:

ა)ლევან ალექსიძე - აკადემიკოსი, თსუ პროფესორი (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი);

ბ) ქეთევან ხუციშვილი - თსუ პროფესორი (სამართლის დოქტორი);

გ) ვასილ კაჭარავა - თსუ პროფესორი (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი);

დ) ნათია ლაპიაშვილი - კავკასიის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი (სამართლის დოქტორი);

ე) მერაბ აბდალაძე - შავი ზღვის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი);

ვ) თამაზ ზუბიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი (ეკონომიკის დოქტორი);
ზ) დანიელა ურსე - ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორი (სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი).

რეცენზენტები:

ა) სალომე დუნდუა - თსუ ასოც. პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ბ) ზვიად აბაშიძე - თსუ ასოც. პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **შალვა ხუფენიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები (თემა: "The Transition Processes from Enemies to Partners and Politics of Cooperation in Western Europe (1945-1957)").

აზრი გამოთქვა:მ .შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმება წარმოდგენილ კანდიდატურებს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ იოსებ სალუქვაძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე, დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **შალვა ხუფენიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები წარმოდგენილი შემადგენლობით.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები:

ა)ლევან ალექსიძე - აკადემიკოსი, თსუ პროფესორი (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი);
ბ) ქეთევან ხუციშვილი - თსუ პროფესორი (სამართლის დოქტორი);
გ) ვასილ კაჭარავა - თსუ პროფესორი (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი);
დ) ნათია ლაპიაშვილი - კავკასიის უნივერსიტეტის ასოც. პროფ. (სამართლის დოქტორი);
ე) მერაბ აბდალაძე - შავი ზღვის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი);
ვ) თამაზ ზუბიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი (ეკონომიკის დოქტორი);
ზ) დანიელა ურსე - ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორი (სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი).

რეცენზენტები:

ა) სერგი კაპანაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (საერთაშორისო ურთიერთობათა დოქტორი);
ბ) თეიმურაზ პაპასქირი - თსუ პროფესორი (ისტორიის დოქტორი).

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ლანა სულაკაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოიმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოს

ელექტროენერგეტიკის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები და მისი ფინანსური შედეგები" - სამეცნიერო ღირებულებისა და აქტუალობის თაობაზე. აღნიშნა, რომ დისერტაცია შეფასდა 93 ქულით. დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 10 პუბლიკაცია, მათ შორის 2 უცხოენოვან მაღალრეიტინგულ ჟურნალებში - ერთი ჩეხეთში და მეორე- საფრანგეთში.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ დასვა კითხვა, თუ როგორ გაართვა თავი დოქტორანტმა დაცვის პროცესში რეცენზენტის საკმაოდ კრიტიკულ შენიშვნებს.

მოისმინეს: ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ რეცენზენტ ლ. საბაურის შენიშვნებზე დოქტორანტმა საკმაოდ დასაბუთებული პასუხები გასცა, თუმცა ზოგიერთ შენიშვნას გაითვალისწინებს მომავალში დისერტაციის მონოგრაფიად გამოქვეყნებისას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ იოსებ სალუქაძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ლანა სულაკაძისათვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ქიმია" დოქტორანტ **მანონი კურტანიძის** სადისერტაციო ნაშრომის („შებრუნებული მიკროემულსიების მიკროგარემოს შესწავლა ულტრაიისფერი- ხილული სპექტროსკოპული მეთოდით") დაცვის კომისია.

აზრი გამოთქვა: ა. შენგელაიამ აღნიშნა, რომ წევრები შერჩეული არიან წესის დაცვით და მხარს უჭერს წარმოდგენილი კანდიდატურების დამტკიცებას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ სალუქვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ იოსებ სალუქვაძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე, დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ქიმია" დოქტორანტ **მანონი კურტანიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) შოთა სამსონია - თსუ პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

ბ) ომარ მუკბანიანი - თსუ პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

გ) გიორგი ბეზარაშვილი - თსუ ასოც. პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

დ) ავთანდილ ქორიძე - თსუ ასოც. პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

ე) რამაზ გახოკიძე - თსუ პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

ვ) ნუნუ მეტრეველი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც.პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი.

ზ) ლევან ნადარეიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ

ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

თ) ლერი გვასალია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ი) ლალი ახალბედაშვილი - თსუ ა.თვალჭრელიძის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,
იოსებ სალუქვაძე

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი